## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - მიმდინარე პეტიცია

ავტორის სახელი: მაგდა

ავტორის გვარი: ქათამაძე

ავტორის სახელი ბარათიდან: Magda

ავტორის გვარი ბარათიდან: Katamadze

ავტორის პირადი ნომერი ბარათიდან: 61010018774

ავტორის მობილური: 568409000

ავტორის ელფოსტა: katamadze.magda@gmail.com

პეტიციის სათაური: აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობა.

### პეტიციის შინაარსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ დავით გაბაიძეს
შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქის
მაგდა ქათამაძის (მისამართი: შუახევი ს. ჭვანა)

პეტიციის განაცხადი

შუახევის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქე მაგდა ქათამაძე (შუახევი ს. ჭვანა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140-ე პირველი პრიმა მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ პეტიციას აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის შესახებ.
აჭარის მუნიციპალიტეტებში, გარდა ქალაქ ბათუმისა, არ არსებობს სივრცე, რომელშიც დაინტერესებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა გამართონ სხვადასხვა სახის შეხვედრები, ჩაატარონ ტრენინგები, სემინარები, მოაწყონ კინო-ჩვენებები სხვადასხვა ასაკობრივი თუ მიზნობრივი ჯგუფებისთვის.
აღნიშნული პრობლემა წლების განმავლობაში არსებობს და ამას აღნიშნავს ყველა ის ორგანიზაცია, რომლებიც ცდილობენ სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელებას მუნიციპალიტეტებში.
საჭიროება მოითხოვს შეიქმნას ისეთი ნეიტრალური სივრცე, რომელიც მისცემს შესაძლებლობას ორგანიზაციებს (დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, არაპოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციები) გამართონ კულტურულ/საგანმანათლებლო სახის აქტივობები.
თითოეულ ცენტრს სასურველია გააჩნდეს დაახლოებით 50 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო სივრცე ასევე მცირე ზომის, 10-15 ადამიანზე გათვლილი შეხვედრების ოთახი. ცენტრი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინტერნეტით, საოფისე ავეჯით, კომპიუტერული ტექნიკით. გააჩნდეს ადმინისტრაციული ოფისი, რომელიც უზრუნველყოფს შეხვედრების ოთახების დაჯავშნას და სივრცის მოვლა/ შენახვას.
მსგავსი თავისუფალი სივრცეები 2011 წლიდან USAID-ის დახმარებით საქართველოს 10 ქალაქში, მათ შორის ბათუმში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრები დაარსდა. კვლევის თანახმად, ცენტრების მიერ შემოთავაზებული სივრცეების არარსებობის შემთხვევაში მომხმარებელთა 40-50% ვერ შეძლებდა სამოქალაქო ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელებას.
ფინანსური უზრუნველყოფისათვის შესაძლებელია სივრცეებში ფასიანი სერვისები დაინერგოს, კერძოდ: საკონფერენციო ოთახის გაქირავება, შეხვედრების დაგეგმვა-ორგანიზება, ღონისძიებების უზრუნველყოფა კვებით და ა.შ. თუმცა, სერვისები უფასო დარჩეს ადგილობრივი (რეგიონებში მოქმედი) არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, მედიისთვის, თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, სამოქალაქო აქტივისტებისთვის და საინიციატივო ჯგუფებისთვის.
დღეისათვის, სხვადასხვა დაინტერესებული პირები ღონისძიებების გამართვისთვის იყენებენ თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობებში არსებულ ისეთ სივრცეებს, როგორიცაა სხდომათა დარბაზები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს ღონისძიებების გამართულად ჩატარებას.
თავისუფალი სივრცეების მოწყობისათვის შესაძლებელია მუნიციპალიტეტებში არსებული შენობა-ნაგებობების გამოყენება ან ახლის მშენებლობა, რომელიც შესაძლებელია გაერთიანდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საკუთრებაში და პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე მისი მართვა უზრუნველყოს შესაბამისმა უწყებამ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსული № 09-02-13-კ/231
ვვ 01 დანართი
06 " 04 20

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

11/04/2022
N 517

517-09-02-11-3-202204111236

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

# დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი
სივრცეების მოწყობის თაობაზე პეტიციის შესახებ

(N09-02-13 ქ/231, 06.04.2022 წ. პეტიციის ავტორი: მაგდა ქათამაძე)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის თაობაზე მოქალაქე მაგდა ქათამაძის 2022 წლის 06 აპრილის N09-02-13-ქ/231 პეტიცია.

წარმოდგენილი პეტიციის შინაარსი შეესაბამება პეტიციის წარდგენის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის $140^1$ მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებულ „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხარდამჭერთა შეგროვების მიზნით მისი გამოქვეყნება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

# საქართველო

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
## უმაღლესი საბჭოს
## თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

16/05/2022
N 777

777-09-02-11-3-202205161508

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, გეგზავნებათ პეტიცია -„აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის“ თაობაზე (N09-02-13-ქ/231, 06.04.2022 წ. პეტიციის ავტორი: მაგდა ქათამაძე) თანდართულ მასალებთან ერთად.

დანართი: 4 (ოთხი) PDF ფაილი.

პატივისცემით,

09-01-03/127
16.05.2022
10.

დავით გაბაიძე

თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს ბიუროს

## გადაწყვეტილება №24

პეტიციის - „აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის თაობაზე“ (N09-02-13-ქ/231, 06.04.2022 წ. პეტიციის ავტორი: მაგდა ქათამაძე, მისამართი: [redacted]) - შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ **გადაწყვიტა:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის $140^1$-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს 210 მოქალაქის მიერ მხარდაჭერილი პეტიცია - „აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის თაობაზე“ (N09-02-13-ქ/231, 06.04.2022 წ. პეტიციის ავტორი: მაგდა ქათამაძე, მისამართი: შუახევი, სოფელი [redacted] შესწავლისა და განხილვის მიზნით, გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

ბათუმი,
17 მაისი, 2022 წელი
№7

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

13/05/2022
N 772

772-09-02-11-3-202205131723

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს**

**ბატონ დავით გაბაიძეს**

**ბატონო დავით,**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, 2022 წლის 06 აპრილს, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის შესაბამისად, შემოვიდა ელექტრონული პეტიციის განაცხადი - ***„აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის" თაობაზე*** (09-02-13-ქ/231, 06.04.2022წ. პეტიციის ავტორი: მაგდა ქათამაძე, მისამართი: [redacted] წარმოდგენილი პეტიცია, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 11 აპრილს, მხარდამჭერების შესაგროვებლად (არანაკლებ 200 მხარდამჭერი) გამოქვეყნდა ვებპლატფორმაზე - chaerte.sca.ge.

2022 წლის 11 მაისს, ხელმოწერების შესაგროვებლად რეგლამენტით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა ამოიწურა. პეტიციამ ამ პერიოდში დააგროვა 210 ხელმოწერა.

გიგზავნით ზემოთაღნიშნულ პეტიციას, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნას და პლატფორმა chaerte.sca.ge-ს საშუალებით შეგროვებული მხარდამჭერების სიას შემდგომი რეაგირებისთვის.

დანართი „8„ ფურცელი

ზურაბ ჭურკვეიძე

აპარატის უფროსი